განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
"შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში"-ის
დაწყებითი საფეხურის
პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრ(ებ)ი:

ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე:</u>

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	400147541

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ლეო კვაჭაძის N 19
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ლეო კვაჭაძის N 19
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Ge.maarifschool.org
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@maarifschools.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	555 01-09-68; 591 23-44-66

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება N 983647-10.08.2023, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და "შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	21 აგვისტო 2023 წელი

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება* პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალი ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ლისი ლეო კვაჭაძის N19

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ კერძო სკოლაში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება N 983647-10.08.2023 საფუძველზე.

ვიზიტის დაწყებამდე გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. წევრები გაეცნენ სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას, დაწესებულებას წარუდგინეს წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის მესამე სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა, აღიწერა და შეფასდა მესამე სტანდარტის ყველა კომპონენტი. ექსპერტებმა სკოლას მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რაც ვიზიტის შედეგად გამოვლინდა. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
500	**183**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დაარსებულია თურქეთის რესპუბლიკის მაარიფის ფონდის ხელშეწყობით, 2016 წლიდან 52 ქვეყანაში ახორციელებს საქმიანობას და წარმოდგენილია 447 სკოლით. *მაარიფის სკოლამ საქართველოში 2019 წელს მიიღო ავტორიზაცია.* აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ეროვნებისა და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არიან. უდავოა, რომ 21-ე საუკუნეში, უმნიშვნელოვანესია ინტერკულტურული განათლება. სკოლის მიერ ინტერკულტურული განათლების პრინციპების გატარება უზრუნველყოფს მოსწავლეებში საქართველოს განათლების ეროვნული მიზნებით და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას .

საინტერესო და მამოტივირებელია სასწავლო პროცესის დაწყების ყოველდღიური რუტინა. კერძოდ, სკოლაში ყოველი დილა იწყება აერობიკით (15 წუთი), ამის შემდეგ, დირექტორი მიაცილებს მოსწავლეებს საკლასო ოთახებში და თან მიმართავს მამოტივირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფრაზებით - უღვივებს მათ ლიდერის თვისებებს, თავდაჯერებულობას, რაც, წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. შემდეგ ყველა კლასში იწყება 15 წუთიანი კითხვის პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან, როგორც მოსწავლეები, ისე სკოლის პერსონალი. მოსწავლეთა წახალისება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა. მაგალითად, ყოველი სემესტრის ბოლოს თითოეულ კლასში ლიდერების გამოვლენა ხდება მასწავლებლების, კლასის დამრიგებლებისა და ფსიქოლოგის მიერ. სემესტრის ბოლოს, სკოლის დირექციის მხრიდან დაჯილდოებით აღინიშნება, ასევე, ჯანსაღი წვნიანის სიყვარულიც, რაც თურქული ტრადიციაა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ადამიანური კაპიტალის განვითარებაა, რაც გამოიხატება მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მხარდაჭერაში. პედაგოგები, სხვა მრავალფეროვან აქტივობებთან ერთად, ტრენინგებს გადიან თურქეთის რესპუბლიკაში ცნობილ უნივერსიტეტებში, გარდა ამისა, ისინი ჩართულები არიან მაარიფის მასწავლებელთა მსოფლიო ქსელში საგნობრივ ჯგუფებში და მონაწილეობენ სისტემატურ ვორქშოფებსა და სემინარებში. აღსანიშნავია ახალი სასწავლო წლისთვის დირექციის მიერ მომზადებული ტრენინგების განრიგი საინტერესო თემატიკით ქართული და თურქული მხარის ჩართულობით.

სკოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება განხილულ იქნას ორგანიზაციის მზრუნველი დამოკიდებულება სკოლაში დასაქმებული პირების მიმართ. კერძოდ, სკოლა სთავაზობს მასწავლებლებს ჯანმრთელობის დაზღვევას, ტრანსპორტირებას ხარჯების ანაზღაურებას. სკოლის მასწავლებელთა თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მასწავლებლის არასრულწლოვანი შვილების რაოდენობაა.

დაწესებულების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სამუშაო შეხვედრებს რეგულარული ხასიათი აქვთ. *დირექცია ყოველ ხუთშაბათს მასწავლებლებთან რუტინულად* მართავს სამუშაო შეხვედრებს. სკოლის საუკეთესო გამოცდილებაა საგნობრივი კათედრების ყოველკვირეული შეხვედრები, ხოლო ყოველ მეორე კვირას სირთულეებსა და გამოწვევებზე მსჯელობისთვის დირექციის წარმომადგენლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასწრება კათედრების სხდომაზე, რაც სკოლის საგაკვეთილო ცხრილშია გაწერილი, ასევე აღსანიშნავია ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა- ცხრილში გაწერილ ყოველკვირეულ სადამრიგებლო საათს მოჰყვება ყოველ მეორე კვირას ფსიქოლოგის დასწრება და ჩართულობა სადამრიგელო საათზე, რასაც თან სდევს საფეხურების მიხედვით დამრიგებელთა ვორქშოფები გარვეული პერიოდულობთ. . სასკოლო ცხილის მზადყოფნა თანამშრომლობისთვის, პედაგოგიური გამოცდილების, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა თუ ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების გაზიარება - დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე.

არაფორმალური განათლების მაღალი წილი, ინოვაციური პროექტები, სკოლის ინფრასტრუქტურა - უახლესი ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორიები, სასწავლო პროცესს მოდერნიზებულს და საინტერესოს ხდის. სკოლა მუშაობს სასწავლო პროცესის გაციფრულებაზე, ტექნოლოგიები არის სკოლის ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს სკოლას სწრაფ განვითარებას მიაღწიოს.

MAGIS - ოლიმპიადა სკოლის მიერ ინიციირებული, მასშტაბური პროექტია, რომელიც სტემის საგნებში და ინგლისურ ენაში ჩატარდა 2023 წელს. საქართველოს მასშტაბით ოლიმპიადაში 700-მა საქართველოს მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. საკმაოდ სოლიდურია ოლიმპიადის გამარჯვებულთა ჯილდოც-25 ათასი ლარი.

სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს შორის ვხვდებით აქტივობებს, რომელთა მიზანი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაა. პერიოდული პიკნიკები, საქველმოქმედო ღონისძიებები, მოსწავლეთა და მშობელთა ნახელავების გამოფენა-გაყიდვა, მშობლეთა ჩართულობა სასკოლო კონკურსებში. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო აქტივობის ფარგლებში, სკოლის მენეჯმენტის მოწვევით და ხარჯებით განხორციელდა საქმიანი სადილი მოსწავლეთა მშობლებთან, სადაც განხილულ იქნა სკოლისათვის აქტუალური საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ბოლოს, სკოლის არაქართულენოვანი მოსწავლეები ეზიარებიან ქართულ ენას, რაც მასწავლებელთა მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პედაგოგები, მოსწავლეთა ჰეტეროგენურ კლასებში, ითვალისწინებენ სწავლის სხვადასხვა სტილს, სწავლების განსხვავებულ სტრატეგიებს და მათ ენობრივ კომპეტენციებს.

სკოლას გამოარჩევს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ობსერვატორია, რომელიც შენობის ბილო სართულზეა განლაგებული. მოსწავლეებს სპეციალისტთან ერთად საშუალება ექნებათ, ტელესკოპითა და ლაბორატორიული იარაღებით, ჩაატარონ კვლევა-ანალიზი დააკვირდნენ მოვლენებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N...		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რჩევები

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.
ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" -სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი შემუშავებულია 2023 წელს, *რადგან სკოლის ფართის ცვლილებამ და პროგრამების დამატებამ სხვა მუნიციპალიტეტში გამოიწვია არსებული რესურსების სხვაგვარად განაწილება, შესაბამისად განისაზღვრა სკოლის სტრუქტურაც. სკოლის სტრუქტურა სქემატურადაა გამოსახული,* რომელშიც პირების//სტრუქტურული ერთეულების იერარქიული დაქვემდებარებაა წარმოდგენილი. როგორც ირკვევა, დაწესებულების უმაღლესი, მ*მართველობითი ორგანო არის მაარიფის ფონდი, რომელსაც ექვემდებარება მაარიფის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში-გენერალური*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორი, მას ექვემდებარება სკოლის დირექტორი (თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი). ზემოაღნიშნული დირექტორის წინაშე *ანგარიშვალდებულია სკოლის ქართულენოვანი დირექტორის მოადგილე, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებიან კათედრები და სკოლის ექიმი.* ფსიქოლოგი, საქმისმწარმოებელი და სკოლის ბუღალტერი, სკოლის თურქულენოვანი დირექტორის მმართველობის ქვეშ არიან. დაწესებულებას ჰყავს მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა, ეროვნული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ზედამხედველობა და კოორდინირება. გარდა ამისა, მისი ფუნქციაა უზრუნველყოს სკოლაში სასწავლო გეგმების მრავალფეროვნების მიხედვით თურქეთის მაარიფის ფონდისა და საქართველოს განათლების კანონმდებლობას შორის შესაბამისობის დაცვა. დეტალური და მკაფიოა სხვა თანამშრომელთა ფუნქცია- მოვალეობებიც.

გრაფიკული დიზაინის და სოციალური მედიის მიმართულებით პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს განეკუთვნება სკოლებიდან მიღებული გრაფიკული დიზაინის მოთხოვნების დაპროექტება, ბეჭდვის პროცესებისთვის თვალყურის დევნა და სკოლებისთვის მათი მიწოდების უზრუნველყოფა, ასევე სოციალური ქსელების გამართულად მუშაობა, სკოლისთვის პრიორიტეტულია მასშტაბური სოციალური ღონისძიებების გამართვა. 49 (ორმოცდაცხრა) პუნქტით არის წარმოდგენილი სკოლის დირექტორის ფუნქციები (თურქეთის წარმომადგენელი). მათ შორისაა - კოორდინირება გაუწიოს არაქართულენოვანი მოსწავლეების ინტეგრირებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ხელი შეუწყოს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას, დაგეგმოს სხვადასხვა ტრენინგები, სემინარები და ა.შ.

სკოლის ფსიქოლოგს, გარდა მოსწავლეების ქცევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი გამოწვევების გადაჭრისა, ევალება ხელი შეუწყოს პირველკლასელთა და სკოლაში ახალგადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, შეამოწმოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველკლასელთა მზაობა სასკოლო სწავლებისათვის, დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. ვიზიტის დროს ექსპერტებმა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოიყენეს სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრებისას. როგორც გაირკვა, თავდაპირველად, სკოლის ფსიქოლოგი აკვირდება მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. შემდეგ, გეგმავს ინტერვენციებს, რაც ყოველ ჯერზე, მშობლის თანხმობის საფუძველზე ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ მისი სამუშაოს დიდი ნაწილი პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს ეთმობა, რაც განაპირობებს მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებას.

სკოლის სპეციალური მასწავლებლის მუშაობა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების შეფასებას და აღწერას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლის სტატუსი მინიჭებული აქვთ მოსწავლეებს, რომელთაც ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები აქვთ სწავლაში.

წესში წარმოდგენილია მასწავლებლების, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ბიბლიოთეკარის, ტექნიკური პერსონალის, ტექნოლოგიების სპეციალისტის, მზარეულის და მისი თანაშემწის ფუნქცია-მოვალეობებიც.

ვიზიტის დროს, ექსპერტებმა განიხილეს სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ხელშეკრულებები, ასევე, სტრუქტურული ერთეულების დებულებები/სამუშაოს აღმწერი დოკუმენტები.

როგორც გაირკვა, კათედრის მუშაობის მიზნები და ამოცანებია: სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა, სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების ეფექტურად შერჩევა და დამტკიცება, დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტური გამოყენება და ა.შ. პედაგოგიური საბჭოს ამოცანათა შორისაა, მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება, სკოლაში სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებასა და დახვეწაზე ზრუნვა. დამრიგებლის დებულება ეფუძნება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და ამ მიმართულებით, სხვადასხვა ღონისძიებები იგეგმება. მშობელთა კომიტეტის დებულების თანახმად, კომიტეტი არის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას წარმოადგენს მშობელთა და სკოლის მოსწავლეთა ინტერესებს. მშობელთა კომიტეტი შედგება თითოეული საფეხურიდან არჩეული მინიმუმ ერთი მშობლის, სკოლის დირექტორის, მოადგილის/მრჩეველის და ერთი მასწავლებლისგან, რომელსაც ნიშნავს სკოლის გენერალური დირექტორი. კომიტეტის წევრთა რიცხვი, შესაძლოა, გაიზარდოს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაა. აღსანიშნავია, რომ მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია სემესტრის/სასწავლო წლის დასრულებისას, მოამზადოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ და წარუდგენს გენერალურ დირექტორს. უნდა აღინიშნოს მშობელთა კომიტეტის ხელშეწყობით განხორციელებული ღონისძიებები- ბავშვებისა და მშობლების ნახელავების გამოფენა-გაყიდვა საქველმოქმედოდ, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა ერთობლივი პიკნიკები, სკოლის პროექტებში მშობელთა ჩართულობა, თურქეთის საელჩოში/საელჩოსთვის გამართულ ღონისძიებებში მათი ჩართულობა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მკაფიოდ განსაზღვრული სკოლის პერსონალის ფუნქციები, ორგანიზაციული სტრუქტურა (იერარქიულ დაქვემდებარება) დადებითად აისახება თანამშრომელთა სამუშაო ხარისხზე. პერსონალის მოვალეობები, ამოცანები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და საქმიანობა უზრუნველყოფს დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მიღწევას. 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების გეგმაც, მკაფიოდ ასახავს აქტივობების შესაბამისად, პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროა, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის თანამშრომელთა/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. დაწესებულება განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ანგარიშგების სისტემაზე (წერილობითი - სამსახურებრივი ბარათები, ანგარიშები, რომლებიც ყოველი თვის ბოლოს წარედგინება გენერალურ დირექტორს, რომელიც, თავის მხრივ, სემესტრის ბოლოს წარუდგენს მაარიფის ფონდის შესაბამის დეპარტამენტს. ასევე ,,ჩეკლისტები“, ასევე, ზეპირსიტყვიერი ანგარიშები მოთხოვნის შესაბამისად. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შიდა დოკუმენტაცია, რამაც დაადასტურა, რომ მონიტორინგი, შეფასება და შეფასების შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი აქტივობები, სკოლის მუშაობის ძირითადი პრინციპია. უნდა აღინიშნოს, რომ მაარიფის ფონდის აკადემიური საქმიანობის დეპარტამენტი სწავლობს მასპინძელი ქვეყნის სასწავლო გეგმას და შესაბამისს მონიტორინგს ახორციელებს წელიწადში ერთხელ გარე დაკვირვებით ადგილზე ვიზიტით და სკოლას წარუდგენს მოკვლევა-დაკვირვების შედეგებს.

სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია, პროცესები შეჯერებულია, რაც დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე.

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობა ეფუძნება შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში,, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვეპროცესებისაგან. თითოეული ქვეპროცესისთვის განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები/პასუხისმგებელი პირები. სკოლის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ფასდება ასევე გარე შემფასებლის მიერ. წელიწადში ერთხელ სკოლის აკადემიურ პროცესებს სწავლობს მაარიფის ფონდის შესაბამისი დეპარტამენტი, რომელიც სკოლას წარუდგენს კვლევის ანგარიშს და უსახავს ღონისძიებებს. სკოლაში იმართება ყოველკვირეული შეხვედრები დირექციის წევრებს შორის კვირის დასაგეგმად, ხოლო ყოველ ხუთშაბათს იმართება დირექციის შეხვედრა პედაგოგებთან. შიდა შეფასების შემდგომ ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირები-მთავარი მრჩეველი, დირექტორის მოადგილი, კათედრის ხელმძღვანელები დირექტორთან ერთად, ადგენენ წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობების მიზნობრივი და ეფექტური გადანაწილებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში,, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- სკოლაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგების დოკუმენტაცია;
- შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- დირექციისა და დირექციის პედაგოგებთან ყოველკვირეული შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის ამოცანებია დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაცია. როგორც გაირკვა, სკოლაში თითოეულ პოზიციაზე შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა და მოიცავს თანამდებობის/პოზიციის დასახელებას, შესასრულებელი დავალებების (ფუნქციები) ნუსხას და პასუხისმგებლობებს, სამუშაოს პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს მართვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვას, ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია სკოლის შინაარსს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რის საფუძველზე ხორციელდება თანამშრომლების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მრავალფეროვანია სკოლის მიერ მასწავლებლებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეთავაზებული, მათი პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები. მაგალითად, 2022 წელს სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, ბაიბურთის უნივერსიტეტში, სადაც ესწრებოდნენ სპეციალურად მათთვის შექმნის ,,ვორკ შოფს", რომელშიც ჩართული იყო უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორი. 15 აგვისტოდან მასწავლებლები ესწრებიან მაარიფის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, მაარიფის ფონდი ზამთრის არდადეგემზე გეგმავს მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვიტარებას სტამბოლის უნივერსიტეტში. სკოლის დირექცია და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის ფსიქოლოგთან ერთად, ახორციელებენ პედაგოგების საქმიანობაზე დაკვირვებას და გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. ერთმანეთის მხარდაჭერა, პროფესიული დიალოგი, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის არსებობა, უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომლების შეჯერებულ, მხარდაჭერაზე დაფუძნებულ საქმიანობას, რაშიც დიდი წვლილი მმართველ რგოლს და გატარებულ პოლიტიკას ეკისრება. მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, პროცესების კონტროლი და მისი ჩანაცვლება, უშუალოდ დირექტორის მოადგილის პრეროგატივაა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომელთა შორის პასუხისმგებლობების გაზიარება, ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება, მკაფიოდ გაწერილი სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტურ მართვას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. დაწესებულების, შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები ,,საქართველოში" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", არეგულირებს სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების პროცედურებს. კერძოდ, ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესებს. სკოლაში კონკურსის გამოცხადება ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე, რომლითაც, ასევე, განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სხვა. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, იქმნება საპრეტენზიო კომისია. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო დოკუმენტაცია. ექსპერტების ყურადღება მიიქცია აპლიკანტის მიერ შესავსებმა კითხვარმა, რომლის ბოლო პუნქტში, კონკურსანტს ევალება ესეს შედგენა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული, გარკვეული საკითხების განხილვა/წარმოჩენა. გასაურების შემდეგ შერჩეული აპლიკანტები (მასწავლებლის პოზიციაზე) ატარებენ სიმულაციურ გაკვეთილს (გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმიბი მათთვის წინასწარაა ცნობილი), შემდეგ წერილობით გამოკითხვა პედაგოგიური უნარებისა და დამოკიდებულებების წარმოსაჩენად, , რასაც მოჰყვება გასაუბრება მაარიფის ფონდის ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტთან.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ პედაგოგების პირად საქმეებსაც, რომლებიც შეიცავდა სკოლის შინაგანაწესით დადგენილ დოკუმენტაციას. კერძოდ, შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ შინაგანაწესის მე - 6 მუხლი, განსაზღვრავს სკოლაში დასაქმების მსურველი პირის წინასახელშეკრულებო ურთიერთობას, რომლის ფარგლებში პირმა სკოლაში უნდა წარადგინოს: პირადობის/პასპორტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი (მხოლოდ მასწავლებლებზე), კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში, საგნის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატის ასლი (მოქმედი მასწავლებლის შემთხვევაში), ნასამართლობის ცნობა (მხოლოდ მასწავლებლების შემთხვევაში), ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) პერსონალის, მათ შორის, პედაგოგების მონაცემები. სკოლაში დასაქმებულია 1 წამყვანი და 4 მაძიებელი, 20 უფროსი და ერთი მოწვეული მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. ექსპერტები გაეცნენ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. როგორც გაირკვა, მათი სკოლაში უკვე დასაქმებული მასწავლებლების ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურებოდა მიმდინარე წლის 30 აგვისტოს. თუმცა, შეთანხმების საფუძველზე, ვადა 1 წლით გახანგრძლივდა, ხოლო ახლი პედაგოგების აყვანა განხორციელებულია ყველა წესის დაცვით. სკოლის ექიმის, ბიბლიოთეკარის, ფინანსური მენეჯერის და სხვა თანამშრომლების პირადი საქმეების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ მათი შერჩევის პროცესი განხორციელდა ასევე შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა - რეგულარული, ყოველკვირეული შეხვედრები, რომლებზე განიხილება სკოლის მართვასთან, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. (ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია). ექსპერტები ვიზიტის მიმდინარეობისას გაეცნენ აღნიშნული შეხვედრების დღის წესრიგებს, რომლებიც წინასწარ ეგზავნებოდა კონკრეტულ თანამშრომლებს, შეხვედრის ამსახველ მასალას (ანგარიშები, ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ა.შ) და დარწმუნდნენ, რომ პროცესები ორგანიზებული და შეჯერებულია და მოიცავს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს. სტრუქტურული ერთეულების მუშაობაც გუნდურობის პრინციპით ხორციელდება. სკოლის მიერ დაგეგმილი, არაფორმალური ხასიათის აქტივობები არა მხოლოდ აუმჯობესებს გუნდური მუშაობის უნარებს, არამედ, დადებითად აისახება თანამშრომლების განწყობაზე და განვითარებაზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

6. შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ შინაგანაწესი (მე -18 მუხლი) აღწერს წახალისების ფორმებს. როგორც ირკვევა, წახალისების ერთ-ერთი ფორმაა ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ასევე, ერთჯერადი ფულადი პრემიის მიღება. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. სკოლის დირექციის წევრები/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სკოლის პერსონალის (მათ შორის, პედაგოგების) მიღწევების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სოციალურ ქსელში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ შინაგანაწესი;
- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასევბა.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;</u>**

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული მექნიზმების დადასტურებად სკოლამ წარმოადგინა სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება და სკოლის დირექტორის დამტკიცებული შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. დოკუმენტში დეტალურად გაწერილია რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები, სკოლის პროცესები, აღწერა და მისი გამოყენება, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და სხვა, რაც იძლევა შესაძლებლობას მოხდეს პერსონალის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენა.

ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა პირველ სემესტრში დირექციის, შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელისა და ფსიქოლოგის გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკი-ყველა პედაგოგის გაკვეთილის მონიტორიგს დოკუმენტი თარიღისა და კრიტერიუმების მითითებით, რაც წინასწარ ცნობილი იყო პედაგოგებისთვის. დოკუმენტებს თან ახლდა დირექტორის მოადგილის ანგარიში ამ პროცესის შესახებ. მეორე სემესტრში გაკვეთილებზე დასწრების თარიღი მასწავლებლებთან არ იყო შეთანხმებული. გარდა ამისა, სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები თავად აფასებენ განვლილი სასწავლო წლის მიღწევებს და გამოწვევებს, ხოლო მრჩეველს განათლების საკითხებში, რომელსაც ევალება სასწავლო პროცესის ზედამხედველობა, წარმოდგენილი ჰქონდა თითოეული მასწავლებლის შეფასება თვითშეფასების კრიტერიუმებითვე. მონიტორინგის შედეგების მიხედვით დგინდება მასწავლებელთა საჭიროებები და იგეგმება ღონისძიებები. გარდა ამისა, ყოველ სემესტრში მოსწავლეთა. მშობელთა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა კითხვარების საშუალებით სკოლა იკვლევს გამოწვევებსა და კმაყოფილებას. კითხვარი მუშავდება კვლევის წესების შესაბამისად და მოჰყვება შესაბამისი აქტივობა-წახალისება და/ან პროფესიული განვითარება. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა მაარიფის ფონდი, თავის მხრივ, ატარებს კვლევას მასწავლებელთა პედაგოგიური საჭიროებების დასადგენად. ასევე აღსანიშნავია, რომ კათედრების შეხვედრები ხდება ყოველკვირეულ რეჟიმში, რუტინულად, საგაკვეთილო ცხრილში მითითებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ასევე ასახულია სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში, ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის სამუშაო დებულებაში, ასევე, კათედრის დებულებაში. ხარისხის მართვის ჯგუფი მოქმედებს დებულების მიხედვით . სკოლამ ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიშები.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. <u>**პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**</u>

თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება სამუშაო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგებზე დაკვირვების საფუძველზე, კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე დაყრდნობით. საგნობრივი კათედრები, დირექცია სწავლობს მასწავლებლის მუშაობის ხარისხს, მიღწევებს, გამოკვეთს საჭიროებებს და აძლევს სათანადო უკუკავშირს. პერსონალის განვითარების პროცესს ხელს უწყობს მასწავლებელთა სავალდებულო თუ საკუთარი სურვილით არჩეული ტრენინგები.
სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტში განსაზღვრულია პოლიტიკის მიზანი, გამოყენების სფერო, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, დაწესებულების ადამიანური რესურსი, მართვის სტრატეგია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. სკოლამ ვიზიტის დროს მტკიცებულებად წარმოადგინს ხარისხის განვითარებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მხარდამჭერი ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრებისას გამოვლენილი უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების დოკუმენტები.
პედაგოგები ჩართულები არიან მაარიფის ქსელის შესაბამისი კათედრების განმავითარებელ ღონისძიებებში- ყოველთვიურ შეხვედრებას და ვორქშოფებში, სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პროცესში.
ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა, შემენილი ცოდნის გამოყენების უნარის გამოვლენა, რაც გამოიხატება ურთიერთსწავლებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. <u>**სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**</u>

სკოლა ქმნის სასკოლო საზოგადოების უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. მასწავლებლები საჭიროების შესაბამისად მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.
მაძიებლობის პროგრამაში ჩართული ოთხი მასწავლებლიდან ოთხივემ შეძლო წელს სტატუსის ამაღლება, ხოლო 2 უფროსი პედაგოგი წარდგენილია წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
კათედრების სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ მასწავლებლები სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან - განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს და ითვალისწინებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა რეფლექსიები.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. .<u>**სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არის შექმნილი ყველა პირობა მასწავლებელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისთვის.
2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს უზრუნველყოს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია, სამუშაო გარემოს კეთილმოწყობა, უსაფრთხოება და საგანმანათლებლო, საკანცელარიო, ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური რესურსებით აღჭურვა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ საშუალება აქვთ იმუშაონ თავიანთი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. მათთვის გამოყოფილია თავისუფალი სივრცე და ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. სკოლის ძლიერი მხარეა ტექნიკით კარგად აღჭურვილი საკლასო ოთახები.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. <u>**წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**</u>

სკოლაში წახალისებულია პერსონალის ინიციატივები. სკოლის შინაგანაწესით გაწერილია წახალისების ფორმები. სკოლა უწყვეტად ზრუნავს სკოლის პერსონალის განვითარებაზე. სამოქმედო გეგმის პროექტში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა სხვადასხვა აქტივობებისა და მექნიზმების გამოყენებით.
სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლების აქტიურ ჩართულობას ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენიგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, საგანმანათლებლო ურთიერთდასწრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა. ადმინისტრაციამ წარმოადგინა საგნობრივი კათედრების ღონისძიებების ამსახველი მასალა. ოქტომბრის თვეში სკოლის ორი პედაგოგი საკონფერენციო თემით წარდგება მაარიფის გაფართოვებულ სამიტზე თურქეთის ქალაქ სტამბოლში. სკოლას შვიდწლიან სამოქმედო გეგმაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმილი აქვს სკოლის საერთაშორისო საგანმანათლებლო შეხვედრების ჰაბად გადაქცევა, რის საშუალებასაც მათ მისცემს სკოლის საუკეთესო ინფრასტრუქტურა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;
- სკოლაში განხორციელებული პროექტები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- შვიდწლიანი სრტატეგიული განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3 პროცესის მართვა

3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;</u>**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის ძირითადი მიმართულებაა ხარისხის უზრუნველყოფა და სკოლიის მისიის შესასრულებელი ღონისძიებების მიზანმიმართული და თანმიმდევრული განხორციელება. სასკოლო სასწავლო გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესი, პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის დებულებები, მშობელთა კომიტეტის დებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სწორედ ამ მიზანს მიემართება.
სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად. ეს პროცესები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მერვე, მეცხრე და მეთერთმეტე მუხლში . სკოლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის, სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტურ და ხარისხიან მართვას.
სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა განისაზღვრება დებულებით, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პედაგოგთა დაკვირვება, შეფასება და სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა. ხარისხის ამაღლების მხარდასაჭერად მუშაობს მაარიფის ფონდის აკადემიური დეპარტამენტი.
სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაეფუძნოს პროცესულ მიდგომას და განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. **<u>იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;</u>**

სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სკოლა ახორციელებს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირებას, სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციის და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში გაწერილი სკოლის შინაგანაწესში, ასევე სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტში გაწერილი ფუნქცია/მოვალეობებით, ხელშეკრულებებში მოცემული და კურიკულუმის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებებით. დამხმარე პროცესები აღწერილია შინაგანაწესში, შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, შვებულების მიცემის დრო და ა.შ. საქმის წარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებულ საქმისწარმოების წესში, რაც არეგულირებს დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებს, მოსწავლეთა ბრძანებებს და ა.შ.

ინტერვიუირების დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. ყველა ამ რეგულაციით იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. თანამშრომლობითი გარემო სკოლაში სკოლაში თვალშისაცემია. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. <u>**სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**</u>

სკოლას დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. ასევე, შინაგანაწესის შესაბამისად განსაზღვრული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლია გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის არამართლზომიერი ქმედება. დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს დისციპლინური კომიტეტი. დირექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში გასაჩივრების ადგილად მითითებულია სასამართლო.

სკოლის დირექციამ ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს და მათ კანონიერი წარმომადგენლებს სკოლა უფლებას აძლევს გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული პროცესი სკოლაში მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. <u>**სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**</u>

სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებები დაცულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტით, ასევე, სკოლის შინაგანაწესში გაწერილი პირობების შესაბამისად. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე, გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე.
შინაგანაწესში განსაზღვრულია პერსონალის და მშობლის უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე. მასწავლებელთა გადაცდომებს იხილავს დისციპლინური კომიტეტი. ავტორიზაციის პერიოდში დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს თვალსაჩინოებისთვის წარუდგინა კომიტეტის ერთი საქმე, რომელშიც განხილული იყო მშობლებისა და მოსწავლის საჩივარი ერთ-ერთი პედაგოგის მიმართ. საქმე განხილული იყო კანონმდებლობის სრული დაცვით-შესაბამისი გადაწყვეტილებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ უფლებებს. აღსანიშნავია, რომ მშობელთა კომიტეტის შეხვედრებსა და მშობელთა გაფართოვებულ კრებებზე მშობლებს აცნობენ განათლებასთან დაკავშირებულ ქართულ კანონმდებლობას. ამრიგად, სკოლაში მოქმედებს პერსონალის, მშობლის უფლებების დაცვის მექანიზმი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დაცვის მექანიზმი;
- მშობელთა კრებების ოქმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები;</u>**

მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სკოლა ახოციელებს შეხვედრებით სტრუქტურულ ერთეულებთან: პედაგოგიურ კოლექტივთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან, იღებენ მათგან უკუკავშირს და ახდენენ შესაბამის რეაგირებას. ამ მიზნით იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს, სკოლის ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელებს, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს.
პედაგოგებთან, მარკეტინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთან, საქმისმწარმოებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელს სკოლა იყენებს სასკოლო კვლევების განსახორციელებლადაც, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან googlis-ის გამოყენების ჩატარებული გამოკითხვა, ასევე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა -კვლევის შესაბამისი მეთოდებით დამუშავებული.
სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი სოციალური ქსელითა და სქულბუქის პლატფორმით მიეწოდება სკოლის წარმომადგენლებს. დირექცია განიხილავს შემოსულ წინადადებებს და პასუხს უბრუნებს მშობლებს სოციალური ქსელით, სქულბუქის პლათფორმით ან საფოსტო გზავნილის გამოყენებით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. <u>უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.</u>

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა ნათლად ჩანს პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლების აქტიურ საქმიანობაში. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო- სასწავლო გეგმის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა და ა. შ. მნიშვნელოვანია სასკოლო ნიშა-დირექციის ყოველკვირეული რუტინული შეხვედრები პედაგოგებთან გაწერილი დღის წესრიგით გამოწვევების განსახილველად.
სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი. მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ.
მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ისინი აქტიურ დახმარებას უწევენ კლასს ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში.
დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმართველობა მონაწილეობს სკოლის მართვაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით ისინი სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.
- პედაგოგებთან შეხვედრების ჩანაწერები.
- მიმოწერა მშობლებთან.
- შეხვედრები მშობელთა კომიტეტთან.
- მოსწავლეთა თვითმმართველობასთან შეხვედრის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**</u>

სკოლაში სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით, სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული სპეციალისტი, ასევე ოთხი დაცვის თანამშრომელი.სკოლის როგორც შიდა , ასე გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეო-სათვალთვალო კამერებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. განსაზღვრულია სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის კონტროლის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარეშე პირთა შესვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სტუმართან ურიერთობისთვის ცალკე პირი.

აღნიშნული დოკუმენტებითა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია -მოვალეობებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან MES 6 21 0001094914 15/10/2021წერილის საფუძველზე სკოლას შეთანხმებული აქვს შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რის საფუძველზეც სკოლის დირექტორს გამოცემული აქვს ამ წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.

სკოლას აქვს კანონის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის შესაბამისად, სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი.სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

შენობის მდგრადობა დადასტურებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნით N 007617919 შენობის მდგრადობის შესახებ. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობას, სკოლას აქვს მიწერილობა , სკოლამ წარმოადგინა საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდის აქტი (MIA 523 02596355 06. 09 .2023წ). რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,სადაც აღნიშნული გეგმა უკვე შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან(323 02583186 . 05.09. 2023წ) შესაბამისად ინდიკატორი 3.4.1.1. არგუმენტირებულ პოზიციამდე იყო შეფასებული როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,, შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. <u>სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;</u>

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესით. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში ჩართულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, კლასის დამრიგებლები, მორიგე მასწავლებლები, და სკოლის დაცვის სამსახური, აღნიშნული დოკუმენტებითა და პროცესში ჩართული პირებით სკოლა არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის დაცვის თანამშრომლების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ შემოსულ პირებს. სკოლას გამოყოფილი ჰყავს ვიზიტორებთან საკონტაქტო პირი. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება. <u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

3. <u>სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;</u>

სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. კლასის დამრიგებლები, სპეცმასწავლებელი, უფსიქოლოგი, საფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მუდმივად ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ასევე, სკოლის ექიმი ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესის, მათთვის საჭირო და პრობლემურ საკითხებზე. სკოლა თანამშრომლობს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტთან, მათ შორის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეშესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კლუბები, განხორციელებულია პროექტები და ღონისძიებები ბულინგთან, ძალადობასთან, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. <u>**სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**</u>

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირების მექნიზმები. გრაფიკის მიხედვით ლაგდება სკოლის შენობა, სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშო, საკლასო ოთახი, დერეფნები, ეზო და ა.შ.

სველი წერტილებისა და საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ჯანდაცვის მიერ დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებთან შესაბამისობა, კერძოდ, საკლასო ოთახები და სველი წერტილები აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსებით. საპირფარეშოებისა და საკლასო ოთახების დალაგება ხდება სისტემატურად.

სკოლის ექიმი აქტიურად არის ჩართული სასკოლო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფაში. ტუალეტებში გამოკრულია დალაგება/დასუფთავების გრაფიკი, ხოლო დალაგება/დასუფთავება მიმდინარებს საქართველოს ეპიდემიოლოგთან ასოციაციის მიერ გაწერილი გაიდლაინის შესაბამისად.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. <u>**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცების დაცვას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შემთხვევაში. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის უწყვეტი ინტერნეტი.სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმის მწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას,შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

6. <u>სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;</u>

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის ტექნიკურ პერსონალთა მონაცემები და არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისთვის.

ადგილზე ვიზიტის დროს საქმისმწარმოებელთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ სკოლა მესამე პირს არ გადასცემს კონკრეტულ ინფორმაციას. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

7. <u>სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლას შემუშვებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. სკოლა ახდენს პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- აზომვითი ნახაზი;
- სკოლის ექიმის ხელშეკრულება.
- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი სამინისტროს სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- გენერალური დირექტორის ბრძანება N 2/70 18/10/2021 სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;
- სახანძრო უსაფრთხოების გამოცდის აქტი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული გეგმა (323 02583186 . 05.09. 2023წ);

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარედ, ლეო კვაჭაძის ქ.N 19, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად , სკოლის საკუთრებაშია 5422კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 4757,1 კვ.მ . სკოლის შენობა სკოლა შემოსაზღვრულია რკინის ღობით, შენობა ოთხსართულიანია. შენობის მდგრადობა დადასტურებულია 30.10.2019წ. დათარიღებული N007617919 დასკვნით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ. სკოლაში 33 საკლასო ოთახია, 8 ლაბორატორია, ერთი მედეათეკა, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, სამასწავლებლო, 13 კაბინეტი ადმინისტრაციისთვის-მათ შორის ექიმის, ფსიქოლოგის კაბინეტები, რესურსოთახი, შეხვედრების ოთახები, სივრცე მშობლებისთვის, სათვალთვალო კამერების მეთვალყურეობისთვის, კაფეტერია და ობსერვატორია.
სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოადგინა სკოლამ. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რაც განსაზღვრავს ლაბორატორიაში მუშაობის ძირითად ასპექტებს.

საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სკოლა უზრუნველყოფილია მაარიფის ფონდის მიერ, ეროვნული სასწავლო გეგმის განსახორციელებლად სკოლა იყენებს აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო რესურსებს. საკლასო ოთახები აღჭურვილა შესაბამისი ტექნოლოგიებით-27 სმარტბორდია დამონტაჟებული საკლასო ოთახებში, ბიბლიოთეკაში, შეხვედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ოთახებში. სკოლაში არის რობოტიკის, IT, აზროვნების, ხელოვნების და მუსიკის ლაბორატორიები, ვიზიტის პერიოდში სრულდებოდა ამ სივრცეების მოწყობის სამუშაოები. ექსპერტებმა ვიზუალური დათვალიერების პარალელურად განიხილეს სკოლის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის მდიდარი სასწავლო რესურსი განუთვნილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. შენობაში დამონტაჟებულია ორი ლიფტი, რაც უზრუნველყოფს რესურსების ხელმისაწვდომობას სსსმ და შშმ პირებისთვის. სასკოლო ბიბლიოთეკა მოიცავს როგორც წიგნების საცავს, ასევე სამკითხველოს, რომელიც აღჭურვილია ინდივიდუალური სკამებით და მაგიდებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკაც. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც მკაფიოდაა გაწერილი ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები . ადმინისტრაცია გეგმავს ბიბლიოთეკის სხვადასხვა აქტივობის გასახორციელებლად გამოყენებას.

სკოლის შენობაში რეკრიაციული სივრცეები : ფოიე, კლას-კაბინეტები, სპორტული და სააქტო დარბაზი კომფორტულია და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლის ლაბორატორიები, საკლასო ოთახებში არსებული საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეებს გამოუმუშავებს პრობლემის გადაჭრის უნარს, კონცენტრაციის უნარს, სოციალურ უნარებს, უზრუნველყოფს მათ ემოციურ განვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია ორი ლიფტის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს რესურსების ხელმისაწვდომობას სსსმ და შშმ პირებისთვის . სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის ყველა საკლასო ოთახამდე, თუ კაბინეტამდე გადაადგილება შეუფერხებლად არის შესაძლებელი. სკოლას აქვს შესაძლებლობა შექმნას ინკლუზიური გარემო. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. მასწავლებელთა გუნდური მუშაობა, მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა -ენის ბარიერის მიუხედავად, უკვე ჩამოყალიბებული ინტერკულტურული სასკოლო კულტურა იძლევა იმისი პროგნოზირების საშუალებას, რომ სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. სკოლაში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებია, რაც დასტურდება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით - კერძოდ, სკოლის ბალანსზეა არჩეული, გრიფმინიჭებული სასკოლო-სახელმძღვანელოები, მხატვრული, შემეცნებითი თუ სამეცნიერო ლიტერატურა. ლაბორატორიებისათვის , როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე კომპიუტერული ლაბორატორიისთვის , სკოლას შეძენილი აქვს შესაბამისი ინვენტარი. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სპორტული ინვენტარი. სკოლას აქვს სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რაც დასტურდება ინვენტარის ფლობის და მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. სკოლის ექიმის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობას. სკოლას აქვს რესურსი სწავლება მიმდინარეობდეს თანამედროვე მიდგომებით მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, ეს კი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების საშუალებას იძლევა. კურიკულუმის ამოცანების შესრულების შესაძლებლობა ყველა საგნისთვის თვალსაჩინოა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის სველი წერტილები კეთილმოწყობილია და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შიდა აზომვითი ნახაზი

2. ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ბიბლიოთეკის დებულება.

4. ექიმის პირადი საქმე.

5.საჯარო რეესტრის ამონაწერი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება გეგმავს აქტიურად გამოიყენოს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიები. ამისთვის, სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. კერძოდ, სკოლის სარგებლობაშია 50 პორტატიული კომპიუტერი, პრინტერები, 27 ჭკვიანი დაფა, 15 პროექტორი, 6 ტელევიზორი, სკოლის ინტერნეტ მომსახურებას უზრუნველყოფს შპს ,,მაგთიკომი“ (ხელშეკრულება გაფორმებულია 15.08.2023წ. და მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2 წელი). N22IN0111-15, 01.11.2022წ. ხელშეკრულებით სკოლამ შეიძინა კომპიუტერული პროგრამა ,,SCHOOLBOOK” –ი, მასზე მიბმული ვებ. გვერდით. ექსპერტებმა ვიზუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დათვალიერების პარალელურად განიხილეს სკოლის სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. სკოლის მიზანია მთელი სასწავლო პროცესის გაციფრულება, რაშიც მას რესურსები შეუწყობს ხელს. აგრეთვე, სკოლის თანამშრომელთა მიერ მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ასპექტებს. კერძოდ, დოკუმენტის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ,,მაგთიკომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულება;
- შესყიდვის ხელშეკრულება N22IN0111-15, 01.11.2022წ. ხელშეკრულება - კომპიუტერული პროგრამა ,,SCHOOLBOOK” –ი, მასზე მიბმული ვებ. გვერდით სარგებლობის უფლების შესახებ;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საქმისწარმოების წესის მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენის და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(eflow) გამოყენებას და სისტემაში რეგისტრირებულია როგორც მომხმარებელი. სკოლის დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია და შიდა დოკუმენტაცია. ექსპერტებმა ვიზიტის დროს განიხილეს სარეგისტრაციო ჟურნალები და დაადგინეს შესაბამისობა საქმისწარმოების წესში არსებულ რეგულაციებთან. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სკოლის შიდა დოკუმენტბრუნვა - ანგარიშგებები, რაპორტები, დასკვნები და გადაწყვეტილებები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია სკოლის შინაარსს. სკოლაში გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები შედგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელსაც ევალება სკოლის არქივის ორგანიზება და დაცვა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow) გამოყენებას და სისტემაში რეგისტრირებულია როგორც მომხმარებელი, შესაბამისად, სკოლის სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. . ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე, ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებას და გაცემას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან.

3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
6. სკოლას ხელშეკრულებით განსაზღვრილი ჰყავს პირი, რომელიც მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამხახურს ხელმძღვანელობს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ. გვერდი https://ge.maarifschool.org/ და სოციალური ქსელის გვერდები (facebook, Instagram, Twitter) ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ. გვერდი ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილია სკოლის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტები, განხორციელებული აქტივობები, დამატებითი მომსახურება და ა.შ. წარმოდგენილი ინფორმაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინტერესების დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ის, რომ დაწესებულება ახორციელებს თავისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას დადასტურდა სკოლის ვებ. გვერდის დათვალიერებისას. კერძოდ, სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების, დამატებითი და სავალდებულო მომსახურების სახეების შესახებ დეტალურად აღწერს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, თავდაპირველად ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება და საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. სკოლის ვებ. გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია როგორც თურქულ, ასევე ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, ვებ. გვერდი ინფორმატიულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგადახდო ანგარიშფაქტურა დომენის მომსახურების და ჰოსტინგის შეძენის თაობაზე;
- სკოლის ვებ. გვერდის და სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდების ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფსასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. კერძოდ, სკოლის ფინანსური რესურსები, ძირითადად, თურქეთის მაარიფის ფონდია, აგრეთვე მოსწავლეებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას ჰყავს ფინანსური მენეჯერი, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს სახსრების სწორად და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, ფულადი სახსრებისა და მისთვის მინდობილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური ფასეულობების დაცვა. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა საპროგნოზო მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს მაარიფის ფონდი და ფინანსური მენეჯერები, ფინანსური სამსახური უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ხელშეკრულება სკოლის ფინანსურ მენეჯერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

11.09.2023წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: